

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
პროგრამის ტიპი	დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით)	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა) TEACHER TRAINING CERTIFICATE PRIMARY, LOWER/UPPER SECONDARY SCHOOL TEACHER TRAINING EDUCATIONAL PROGRAM (Music)
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	60 კრედიტი (ECTS) (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2019 წელს
პროგრამის ხელმძღვანელი	სოფიკო ლობჯანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების პროფესორი; განათლების სკოლის ხელმძღვანელი. თანახელმძღვანელი: ქეთევან შენგელია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნობრივი კომპეტენცია - დადასტურებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით;	

შენიშვნა: 2021 წლის ბოლომდე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი შესაძლებელია იყოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და პროგრამაზე მიღების საფუძველია იმ საგნის გამოცდის ჩაბარება, რომლის სწავლებაც სურს მას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება:

• პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნის გამოცდის ჩატარების წესის შესაბამისად ამ წესის დამტკიცებამდე წარმატებით აქვს დაძლეული საგნის გამოცდა;

• პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და წარმატებით აქვს ჩაბარებული „მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის #1101 ბრძანებით გათვალისწინებული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი.

2. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება

შენიშვნა: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია აპლიკანტებისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე ერთვის დანართის სახით პროგრამას. (დანართი#1)

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მოამზადოს მუსიკის (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, შემუშავება, მათზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა და შეფასება;
- აქვს უნარი განუვითაროს მოსწავლეებს ესთეტიკური აღზრდისთვის აუცილებელი გამჭოლი უნარები და ღირებულებები (შემოქმედებითობა, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი).
- შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ესთეტიკური ბლოკის საგნების სწავლებისას.
- იცის პიროვნების, განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები და შეუძლია ამ ცოდნის ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური თუ კოგნიტური განვითარებისთვის ხელშემწყობი უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

- შეუძლია თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

სწავლების მეთოდები

- ლექცია / სემინარი;
- დისკუსია და დებატები;
- ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები;
- სიტუაციის ანალიზი (Case Study);
- პრეზენტაცია;
- დემონსტრირება;
- პროექტებით სწავლება;
- კოგნიტური დიაგრამებით სწავლება;
- უკუკავშირის მეთოდები;
- პედაგოგიური პრაქტიკა; პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია;
- პრაქტიკული მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და სხვ.

პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის, **ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) სტუდენტმა უნდა გაიაროს:**

- პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის ბლოკიდან - 30 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის ბლოკიდან - 6 კრედიტი;
- მუსიკის სწავლების ბლოკიდან - 24 კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასების წესი (100 ქულიანი):
 (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
 (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
 (C) კარგი – 71-80 ქულა;
 (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
 (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
 (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების სისტემა, მათ შორის შეფასების ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით და შესაბამისი კურსების სილაბუსებით.

დასაქმების სფეროები
<p>კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კერძო და საჯარო სკოლებში <ul style="list-style-type: none"> ➢ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის უფროს მასწავლებლად. • მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრებში; • პედაგოგთა გადამზადების ცენტრებში; • საგანმანათლებლო რესურსცენტრებში; • განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
<ul style="list-style-type: none"> • საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, ტექსტური, აუდიო, ვიდეო საცავები; • საუნივერსიტეტო ლაბორატორიები; • საუნივერსიტეტო მუსიკის ცენტრი; • უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი; • უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (http://moodle.iliauni.edu.ge) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სპეციალური ელექტრონული სისტემა „არგუსი“; • პროგრამა - Turnitin; • პარტნიორი სკოლები, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; • მუზეუმები; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი;

კურსების კატალოგი

N	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	ჩაშენებული პედაგოგიური პრაქტიკის კრედიტების საერთო რაოდენობა	საკონტ.საათები	სემესტრები	
								შემ.	გაზ.
პედაგოგთა / ფსიქოლოგიის ბლოკი – (30 კრედიტი)									
1.	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა	სავალდებულო	სოფიკო ლობჯანიძე	წინაპირობის გარეშე	6	2	32	x	

2.	საკლასო შეფასება	სავალდებულო	სოფიო გორგოძე	წინაპირობის გარეშე	6	1	30	x	
3.	სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები და სწავლება	სავალდებულო	თამარ კერძაია	წინაპირობის გარეშე	6	1	32	x	
4.	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები	სავალდებულო	მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი	წინაპირობის გარეშე	6	2	47	x	
5.	ინფორმაციული წიგნიერება	სავალდებულო	ზაქარია გიუნაშვილი / ეკატერინე კორძაძე	წინაპირობის გარეშე	3		37		X
6.	სასკოლო ურთიერთობების ეტიკა	სავალდებულო / არჩევითი	სოფიკო ლობჯანიძე	სასკოლო ასაკის ბავშვის განათლების ფსიქოლოგია	3		32		x
7.	ინტერკულტურული განათლება – პედაგოგიური მიდგომები	სავალდებულო / არჩევითი	ნინო ჭიბრიშვილი	წინაპირობის გარეშე	3		16		x
8.	ცოდნა და ღირებულებითი განათლება	სავალდებულო / არჩევითი	ეკატერინე შვერდაშვილი / თამარ მოსიაშვილი	წინაპირობის გარეშე	3		19		x
საგნის სწავლების ბლოკი (24 კრედიტი)									
მუსიკა									
1.	მუსიკის სწავლების საფუძვლები	სავალდებულო	ქეთევან შენგელია	წინაპირობის გარეშე	6	1	32	X	
2.	ტრადიციული მუსიკა და მისი გამოყენება სწავლების დაწყებით საფეხურზე	სავალდებულო	ნინო მახარაძე/ნინო ნანეიშვილი	1. მუსიკის სწავლების საფუძვლები 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა 3. საკლასო შეფასება 4. სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების	6		32		X

				თავისებურებები და სწავლება 5. ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები					
3.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე	სავალდებულო	თამარ თევდორაშვილი	1. მუსიკის სწავლების საფუძვლები 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა 3. საკლასო შეფასება 4. სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები და სწავლება 5. ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები	6	1	32		X
4.	მუსიკის ელემენტური პედაგოგია	სავალდებულო	დალი დოლიძე	1. მუსიკის სწავლების საფუძვლები 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა 3. საკლასო შეფასება 4. სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები და სწავლება	6	1	32		X

				5. ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები					
სასკოლო პრაქტიკის ბლოკი - 6 კრედიტი									
5.	სასკოლო პრაქტიკა (მუსიკა)	სავალდებულო	ქეთევან შენგელია	აღნიშნული კურსი სტუდენტმა უნდა გაიაროს პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში	6	6	32		X
6.	შემაჯამებელი პორტფოლიოს დაცვა ¹	სავალდებულო	----	დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსი	--	--	--	--	X

¹ შემაჯამებელი პორტფოლიოს ფარგლებში სტუდენტის შეფასების ფორმაა „ჩათვლა“. პროგრამის დასრულებისას სტუდენტის მიერ პორტფოლიოს წარმოდგენა სავალდებულოა. კურსდამთავრებულს პროგრამა დასრულებულად ჩაეთვლება შემაჯამებელი პორტფოლიოს დადებითად შეფასების შემთხვევაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

პროგრამა: ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

„საგნის გამოცდის ჩატარების წესით“ გათვალისწინებული საგნის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოდულის შესაბამისი შემდეგი საგნის გამოცდა:

- მუსიკა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მიზნით, ჩატარდება შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა, რომელიც მოიცავს ქეისის ზეპირ ანალიზსაც. ქეისს, რომელიც აღწერს სიტუაციას სასკოლო ცხოვრებიდან, აპლიკანტს წარუდგენს საგამოცდო კომისია. ზეპირ გამოცდაზე აპლიკანტმა უნდა შეძლოს, გამოავლინოს:

- ✓ ზოგად განათლებაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმირებულობა და მზაობა მათ განსახორციელებლად;
- ✓ მოტივაცია;
- ✓ პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ აპლიკანტის ინფორმირებულობისა და სიახლეების მიმდებლობის დასადგენად, დასმული იქნება კითხვები ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების ირგვლივ. მოტივაციის გამოვლენის მიზნით, კანდიდატმა უნდა ისაუბროს პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან. ქეისის ანალიზისას აპლიკანტმა უნდა შეძლოს პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზის/მიზეზებისა და გადაჭრის გზების დასახელება; მსჯელობისას უნდა მოიყვანოს რელევანტური არგუმენტები.

ზეპირი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, ხოლო მინიმალური ქულაა 16. აპლიკანტი, რომელიც დააგროვებს 16 ქულაზე ნაკლებს, გამოირიცხება რეიტინგული სიიდან.

ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა		
კრიტერიუმები	რუბრიკები	შეფასება
ზოგად განათლებაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმირებულობა და მზაობა მათ განსახორციელებლად - 10 ქულა	ფლობს სრულ ინფორმაციას ზოგად განათლებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ და აქვს მზაობა მათ განსახორციელებლად.	8-10
	ფლობს ინფორმაციას არჩეული სფეროს შესახებ, მაგრამ ნაკლებად ავლენს მზაობას მათ განსახორციელებლად.	5-7
	არჩეული სფეროს შესახებ სუსტად ან საერთოდ არ არის ინფორმირებული და ვერ ავლენს მზაობას მათ განსახორციელებლად.	0-4
მოტივაცია მაქსიმალური - 10 ქულა	აქვს პროგრამაზე სწავლის მაღალი მოტივაცია.	8-10
	აქვს პროგრამაზე სწავლის საშუალო მოტივაცია.	5-7
	აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების დაბალი მოტივაცია.	0-4
პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი - 10 ქულა	შეუძლია, განსაზღვროს და გააანალიზოს პრობლემა; ახსნას პრობლემის გამომწვევი მიზეზები და იმსჯელოს პრობლემის გადაჭრის გზებზე; არგუმენტირებულად დაასაბუთოს მათი მართებულობა.	8-10
	შეუძლია, განსაზღვროს პრობლემა, თუმცა უჭირს პრობლემის ანალიზი და გამომწვევი მიზეზების დასახელება. პრობლემის გადაჭრის გზები არადაამაჯერებელია და აკლია არგუმენტირება.	5-7
	უჭირს ან საერთოდ ვერ ახდენს პრობლემის განსაზღვრასა და ანალიზს. ვერ ასახელებს პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებს. მსჯელობა არაარგუმენტირებულია.	0-4

